

საქართველოს აგროტურისტული პოტენციალი

თამარ ტეფნაძე

ელ-ფოსტა: tamotefnadze9@gmail.com

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტი.
ი. ჭავჭავაძის #5

უკანასკნელ პერიოდში აგროტურიზმის პოპულარიზაციამ განაპირობა მსოფლიოს მრავალ წამყვან ქვეყანაში ცალკეული რეგიონების აგროტურისტული პოტენციალის შეფასება. პოტენციალის პერსპექტივის გამოვლენაში იგულისხმება ზოგადად არსებული რესურსების ერთობლივი ანალიზი, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ თემასთან დაკავშირებით არსებული კვლევათა რაოდენობა საკმაოდ მცირეა.

აქედან გამომდინარე პოტენციალის შეფასება ზოგადად მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული გარემოს ერთობლივ შესწავლას. ასეთი ერთობლივი კვლევების დროს შესაძლებელია წამოიჭრას სხვადასხვა პრობლემები, უმთავრესად: მონაცემთა მიმოვანტულობა - სხვადასხვა კვლევით ორგანიზაციებში, კვლევის ერთიანი მეთოდის არ არსებობა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა განგვეხილა ზემოთ დასახელებული ერთ ჭრილში, რის შედეგადაც შეფასდებოდა სხვადასხვა ტერიტორიების აგროპოტენციალი.

საკითხი აქტუალურია იმ კუთხითაც, რომ აგროტურისტული შეფასების შედეგები შეიძლება იქცეს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების საყრდენ წერტილად. ეს ამზადებს იმ მნიშვნელოვან ნიადაგს საქართველოსთვის, რომ ქვეყანამ მაქსიმალურად გამოიყენოს რესურსული პოტენციალი.

ეს კვლევა სწორედაც რომ ეხება საქართველოს აგროტურისტული პოტენციალის გამოვლენასა და შეფასებას. კვლევა შემდეგ ეტაპებად განხორციელდა:

1) მონაცემთა სისტემატიზაცია, რის შედეგადაც, გეოინფორმაციული სისტემების მეშვეობით, შეიქმნა ერთიანი მონაცემთა ბაზა (39 ატრიბუტით).

2) აგროტურისტულ პოტენციალზე სხვადასხვა ფაქტორების ანალიზი და ვიზუალიზაცია.

საბოლოო ჯამში დადგინდა, რომ საქართველო მდიდარია ბუნებრივ-ტურისტული ღირსესანიშნაობით. აგროტურისტულ პოტენციალს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. აგროტურიზმის ფუნქციები გაცილებით ფართოა: ქანქარისებური მიგრაციის შემცირება, მეურნეობისა და სოფლების შენარჩუნება, სუფთა ეკოლოგიური გარემოს შექმნა.

საბოლოოდ, კვლევის ფარგლებში განხილულია თითოეული ფაქტორის მნიშვნელობა. ამ კვლევით დადგინდა რომ, საქართველოს აგროტურისტული პოტენციალის განაწილების თავისებურება, კონკრეტულად, თუ რომელი ადმინისტრაციული ერთეულია დაბალი თუ მაღალი აგროტურისტული პოტენციალის მქონე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. saqarTvelos turistul-rekreaciuli resursebi (damxmare saswavlo-meToduri saxelmZRvanelo). Tbilisi, 2006. 58 gv.

2. saqarTveloSi Sida turizmis samomxmareblo kvleva. dekemeberi, 2009. turizmisa da kurortebis departamenti. 2009.
3. SublaZe v. saqarTvelo da turizmi. Tbilisi, 2004. 82 gv.
4. Nikolaishvili D., Matchavariani L., Demetrashvili O. **Methodology of Determining the Agritourism Potential on Georgia's Example.** Journal of Tourism Challenges and Trends. vol. IV, No 1, June, 2011. pp. 59-76.
5. <http://igeat.ulb.ac.be/fileadmin/media/publications/jtct-vol-4-1-rural-tourism.pdf>
6. <http://journals.indexcopernicus.com/abstracted.php?level=5&icid=957203>
7. Nikolaishvili D., Donadze Ts., Meladze G., Trapaidze V., Dvalashvili G., Sharashenidze M., Tigishvili T. **Evaluating the Touristic Potential of Georgia's Landscapes.** International conference: Environment – Landscape – European Identity. 2011 Annual Meeting of the Faculty of Geography. Bucharest, 4-6 November, 2011 (abstract).
8. <http://forumgeografic.ro/2013/1469/>
9. http://geo.portiledefier.ro/wp-content/uploads/2011/03/Schedule_ICELEI.pdf
10. ნიკოლაიშვილი დ., მაჭავარიანი ლ., ტრაპაიძე ვ., შარაშენიძე მ. **საქართველოს აგრო-ტურიზმის პერსპექტივის კომპლექსური შეფასება.** I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები. შრომების კრებული. თბილისი: თსუ, 2012. გვ. 388-393.<http://ispc.tsu.ge/docs/programa.pdf>